

ქალაქ ქუთაისში, კლდიაშვილის ქუჩა N108-106 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე, მოქალაქე აკაკი კოპალიანისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა კლდიაშვილის ქუჩა N108-106 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე აკაკი კოპალიანის წარმომადგენლის თეიმურაზ ჩიტაიშვილის განცხადება /2013 წლის 25.06 №6-6737/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე აკაკი კოპალიანის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კლდიაშვილის ქუჩა N108-106 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე აკაკი კოპალიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, კლდიაშვილის ქუჩა N108-106 თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 124,51 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 65,29 კვ.მ, დამხმარე ფართობი 59,22 კვ.მ. რომელიც განთავსებულია 3777,00 კვ.მ. თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე აკაკი კოპალიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი